თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5192141

ნომერი: AR1788858

თარიღი : 17.11.2020

გაცემის თარიღი : 19.11.2020

გაცნობის თარიღი : 20.11.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი III , კორპუსი 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ბაიდარაშვილი პ/ნ 01011030686
- თბილისი დოესის ქ. N 74

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ აივნის ქვეშ არსებული არსებული ფართის კანონიერების დამდგენი დოკუმენტაცია დოკუმენტაცია.
აღნიშნული ფართის კანონიერების დამდგენი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აბრა შესაძლებელია მოეწყოს მხოლოდ ფასადის შუბლის ნაწილში , ხოლო თითონ საფასადე სიბრტყე მოწესრიგდეს (ვიტრაჟი გასუფთავდეს , კარის ღიობის და ასევე აბრის ბოლო მონაკვეთის არეალში მდებარე კედლის შეფერილობა შეიცვალოს ფასადთან მისადაგებულ ნეიტრალური შეფერილობით );

გაითვალისწინეთ რომ მხოლოდ არსებული ფართის კანონიერების შემთხვევაში იმსჯელებს სამსახური რეკონსტრუქციის განხორციელების შესაძლებლობაზე გაბარიტების და განაშენიანების ფართის ცვლილების ფარეშე.

განცხადებით მოგვმართავს შპს ჰაფი ლანდი. "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული გარიგებებით (მათ შორის, გარიგებებისა, რომელთა საერთო ვადა აღემატება 1 წელს) უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ვინაიდან, წარმოდგენილი ხელშეკრულების ვადა აღემატება 1 წელს, საჭიროა ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და განახლებული ამონაწერის წარმოდგენა. 17.11.2020 წლის მინდობილობა ითვალისწინებს მხოლოდ აბრის მოწყობაზე შეტყობინების მისაღებად წარმომადგენლობის უფლებამოსილებას, მიმდინარე განცხადებით ასევე დაგეგმილი გაქვთ ფასადის ღებვის სამუშაოებიც, საჭიროა წარმოადგინოთ მინდობილობა,რომელიც წარმომადგნელობას ითვალისწინებს ყველა იმ სამუშაოეზე რომლის შეთანხმებაც მიმდინარე განცხადებით გსურთ. ასევე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ფართის მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ფასადის ღებვის სამუშაოებზე, ხელშეკრლება წინასწარ თანხმობას ითვალისწინებს მხოლოდ აბრის მოწყობაზე.

- დაზუსტებული ინფორმაცია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში) სამსახურის მიერ გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ კანონით განსაზღვრულ ვადაში .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.